ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: ია გაბედავა

კოლეგიის წევრი: არჩილ ჩოფიკაშვილი

კოლეგიის წევრი: ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: ი. შ.

საჩივრის ეთიკის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 111/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ი.-ის მიმართ /სიითი№..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ი.-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 09 აგვისტოს მომართა საჩივრის ავტორმა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ თ. ი.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ი. შ.-სა და მისი ყოფილი მეუღლის - ნ. შ.-ს შორის 2016 წლიდან დღემდე მიმდინარეობს საოჯახო დავები სასამართლოში, მათ შორის, ნ. შ.-ს პროკურატურისადმი მიმართული საჩივრის საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საჩივრის ავტორის წინააღმდეგ.

1.3 საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის - ნ. შ.-ს ინტერესებს სამოქალაქო დავებთან დაკავშირებით წარმოადგენს ადვოკატი თ. ი.. საჩივრის ავტორმა ყოფილი მეუღლის

წინააღმდეგ ქორწინების შეწყვეტის მოთხოვნით 2016 წელს მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულ საქმეზე გამართულ სასამართლოს სხდომაზე მას მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა თ. ი.-მ „იძულებით და შანტაჟით“ ხელი მოაწერინა მხარეთა შორის გასაფორმებელ მორიგების აქტზე, იმის სანაცვლოდ, რომ ნ. შ. მისი ყოფილი მეუღლის მიმართ არ მისცემდა საწინააღმდეგო ჩვენებას სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნულ სასამართლო სხდომას ესწრებოდა ი. შ.-ის ადვოკატი - ნ. გ.-ც, თუმცა ი. შ.-ის განცხადებით, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს მის მიერ საჩივრის შემოტანის მიზანს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამავე პერიოდში, მისი ყოფილი მეუღლის ნ. შ.-ს ადვოკატმა თ. ი.-მ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და სარჩელის უზრუნველსაყოფად დაყადაღდა ი. შ.-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რაც ი. შ.-მა გაასაჩივრა აპელაციის წესით. აღნიშნულის შემდგომ, ადვოკატმა თ. ი.-მ, რამდენჯერმე დაიბარა თავის ოფისში ი. შ., რის თაობაზეც საჩივრის ავტორს თავისი ადვოკატისთვის წინასწარ არ უცნობებია.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის მივიდა ადვოკატ თ. ი.-ის ოფისში შეხვედრაზე და მათ შორის საუბარს ფარულად, ჩამწერის მეშვეობით იწერდა, რა დროსაც, ადვოკატმა თ. ი.-მ ი. შ.-თან საუბრისას, მისი ადვოკატი - ნ. გ. შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია, განაცხადა, რომ არის „გიჟი და ნუ დაუჯერებო“, „მე დაგეხმარები ყველაფერში, შენი გიჟი ადვოკატი არ გჭირდებაო“, „არჩევნებში ვმონაწილეობ, ხმა მე მომეცი და შენს საქმეს მოგიგვარებო“.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას თან ახლდა თავისი მეორე ადვოკატი (რომელიც იცავდა სისხლის სამართლის საქმეში) ადვოკატ თ. ი.-სთან შეხვედრისას, რომლის შანტაჟთან დაკავშირებითაც აწარმოებდა მასთან მოლაპარაკებებს.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან თავის ადვოკატს - ნ. გ.-ს გადაუგზავნა ადვოკატ თ. ი.-სთან საუბრის ფარული ჩანაწერი, რის თაობაზეც ნ. გ.-მ უთხრა, რომ ამით ირღვეოდა პროფესიული ეთიკის ნორმები, თუმცა ურჩია, რომ „ყურადღება არ მიექცია“ და არ მიემართა კომისიისთვის საჩივრით და თუ გადაწყვეტდა საჩივრის წარდგენას - ეს მისი უფლება იყო, თუმცა ის ამ საკითხში „არ ჩაერეოდა“. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. გ.-მ უთხრა, რომ „როგორც თ. იქცევა, ვერ მოიქცევა და კოლეგიალობიდან გამომდინარე არ უჩივლებდა“.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, თავის ყოფილ მეუღლეს მორიგების ახალი პირობები შესთავაზა, რაც მისთვის მისაღები იყო, თუმცა მორიგების გაფორმებაში თავის კლიენტს ხელს უშლის ადვოკატი თ. ი. და ცდილობს მორიგების ჩაშლას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 09 სექტემბერს ადვოკატმა - თ. ი.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი, ხოლო 2018 წლის 06 ნოემბერს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატის განცხადებით, იგი იცავდა საჩივრის ავტორის ყოფილი მეუღლის - ნ. შ.-ს ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე, სადაც ნ. შ. ითხოვდა საჩივრის ავტორთან განქორწინებასა და შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, პარალელურად საჩივრის ავტორის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე ოჯახური ძალადობის ფაქტზე, რის გამოც ი. შ.-მა საკუთარი სურვილით განაცხადა თანხმობა მორიგებაზე განქორწინების საქმეზე, იმ პირობით, თუ ნ. შ. უკან გამოითხოვდა მის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელს სისხლის სამართლის საქმეზე. მოცემული მორიგების აქტი შედგა საჩივრის ავტორის მიერ წამოყენებული პირობების საფუძველზე და მხარეთა მიერ ხელი მოეწერა 2016 წლის 25 აგვისტოს, სასამართლოს სხდომაზე.

2.4 მოგვიანებით, ი. შ.-ის ადვოკატმა ნ. გ.-მ, მოცემული მორიგების აქტი გაასაჩივრა სააპელაციო წესით, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ ვინაიდან, მოცემული დოკუმენტი საჩივრის ავტორის მიერ ხელმოწერილი იყო ი. შ.-ის მიმართ განხორციელებული მუქარისა და შანტაჟის საფუძველზე, უნდა ცნობილიყო ბათილად სასამართლოს მიერ. ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მან არაერთგზის დაიბარა საჩივრის ავტორი მასთან მორიგების პირობებზე შესათანხმებლად. საჩივრის ავტორს თან ახლდა მისი ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე - დ. ს.. მოცემულ შეხვედრებზე საჩივრის ავტორის ადვოკატისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს ადვოკატი თ. ი. ვერ იხსენებს.

2.6 აღნიშნულ პერიოდში, კერძოდ, 2016 წელს ადვოკატი მონაწილეობდა საპარლამენტო არჩევნებში და აქედან გამომდინარე, ვისაც მასთან კონტაქტი ჰქონდა, ყველას მოუწოდებდა, რომ ხმა მისთვის მიეცათ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ხმის მიცემის სანაცვლოდ საჩივრის ავტორისათვის საქმის მოგვარება მას არ შეუთავაზებია.

2.7 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის ადვოკატმა - ნ. გ.-მ დაიწყო სამოქალაქო დავა ი. შ.-ის ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ 2017 წლის ბოლოს და მას შესთავაზა მორიგების ახალი აქტი, რომელიც იყო მიუღებელი და შესაბამისად, ნ. შ.-მა მორიგების ახალ პირობებზე უარი განაცხადა მასთან კონსულტაციის გავლის შემდეგ.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. ი. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№..../ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ი. შ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 09 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016 წელს. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ი.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა თ. ი.-მ თავის ოფისში დაიბარა საჩივრის ავტორი და მასთან საუბრისას შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია საჩივრის ავტორის ადვოკატი; ადვოკატი თ. ი. ცდილობს თავის კლიენტსა და საჩივრის ავტორს შორის გასაფორმებელი მორიგების ჩაშლას.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ი.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი: „საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება“.

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მისი ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა.

5.4 ადვოკატის პროფესიის არსი და ბუნება წარმოადგენს კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი ყოველთვის ატარებს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის საპირისპირო ინტერესს. შესაძლებელია, მეორე მხარეს არ მოსწონდეს ის მეთოდი, რომლითაც ადვოკატი თავის კლიენტს იცავს.

5.5 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი თ. ი. წარმოადგენს ი. შ.-ის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს სამოქალაქო დავაში. საჩივრის ავტორის პოზიციიდან ირკვევა, რომ ადვოკატ თ. ი.-ს რამდენჯერმე შეხვდა მის ოფისში. შეხვედრის ინიციატორი იყო ადვოკატი თ. ი.. როგორც მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებით ირკვევა, საჩივრის ავტორსა და ადვოკატ თ. ი.-ს შორის შეხვედრისა და საუბრის მიზანი ეხებოდა მხარეთა შორის მოლაპარაკების საკითხს. საჩივრის ავტორი თავად უთითებს, რომ ადვოკატ

თ. ი.-სთან შეხვედრისას ის მარტო არ იმყოფებოდა და მას თან ახლდა მისი მეორე ადვოკატი, რომელიც მის ინტერესებს იცავდა სისხლის სამართლის საქმეზე.

5.6 საჩივარში აღნიშნულია, რომ ადვოკატმა თ. ი.-მ ი. შ.-თან საუბრისას მისი ადვოკატი ნ. გ. მოიხსენია შეურაცხმყოფელი სიტყვებით, კერძოდ, განაცხადა, რომ ის არის „გიჟი და ნუ დაუჯერებო“, „მე დაგეხმარები ყველაფერში, შენი გიჟი ადვოკატი არ გჭირდებაო“, „არჩევნებში ვმონაწილეობ, ხმა მე მომეცი და შენს საქმეს მოგიგვარებო“. ადვოკატის თაობაზე გამოთქმული ფრაზები ეხება არა უშუალოდ საჩივრის ავტორს, არამედ საჩივრის ავტორის ადვოკატს, რომელსაც როგორც ი. შ. უთითებს, მიაწოდა აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია, თუმცა მან განუცხადა, რომ არ აპირებდა ჩივილს და ურჩია, რომ „ყურადღება არ მიექცია“ ამ საკითხისთვის (იხ. პარაგრაფი 1.7).

5.7 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატ თ. ი.-სთან საუბრის მოცემული ჩაწერა განახორციელა ფარულად. მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ფარული ჩანაწერის ეთიკის კომისიაში მტკიცებულებად დაშვების თაობაზე აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისია არის კვაზი სასამართლო, ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციას და იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებას, ფარული ჩანაწერის მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე. საკასაციო სასამართლომ (იხ.№ას-1155-1101- 2014) განმარტა, რომ „პირადი საუბრის ფარული ჩაწერა, ხოლო შემდეგ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება... ინდივიდმა კერძო საუბრები უნდა აწარმოოს იმის ეჭვისა და შიშის გარეშე, რომ საიდუმლო ჩანაწერს ვინმე მისი ნებართვის გარეშე და ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს...“

5.8 მოცემულ შემთხვევაში, საქმე ეხება პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარულ აუდიოჩანაწერს. ვინაიდან, საჩივრის ავტორსა და ადვოკატ თ. ი.-ს შორის საუბარი, მისი, როგორც მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად არის ჩაწერილი, ამიტომ კოლეგია ვერ მიიღებს მტკიცებულებად და ვერ შეაფასებს მას, საჩივრის განხილვის ფარგლებში.

5.9 საჩივრის ავტორის პრეტენზიის თაობაზე, რაც ეხება ადვოკატ თ. ი.-ის მიერ მხარეთა შორის მორიგების გაფორმების სავარაუდო ხელშეშლას, კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი თ. ი. წარმოადგენს თავისი კლიენტის ინტერესებს და არა საჩივრის ავტორის, როგორც მისი მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს. საქმეზე საბოლოო შედეგის მისაღებად ადვოკატი სამოქმედო ტაქტიკას ათანხმებს კლიენტთან და შეუთანხმებლობის შემთხვევაში, კლიენტს შეუძლია იდავოს ადვოკატის მიმართ საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე.

5.10 განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება ადვოკატ თ. ი.-ის მიერ საჩივრის ავტორის, როგორც მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობისას კანონდარღვევით მოქმედების და მისი პირადი ღირსების ხელყოფის ფაქტი.

5.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №111/18 ადვოკატ თ. ი.-ის მიმართ /სიითი №..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/